სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law - Gori State University

ბრძანება № 1-25

გორი 12 04 2023წ.

„სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი/საგანმანათლებლო/შემეცნებითი/საზოგადოების განვითარებაზე ორიენტირებული (მესამე მისია) პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" რექტორის 2023 წლის 09 მარტის N1-15 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 აგვისტოს N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-15 მუხლის 1-ლი და მე-7 პუნქტების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი/საგანმანათლებლო/შემეცნებითი/საზოგადოების განვითარებაზე ორიენტირებული (მესამე მისია) პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" რექტორის 2023 წლის 09 მარტის N1-15 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-3 პუნქტის „გ" და „დ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) კომისიის მიერ პროექტის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება - 2023 წლის 06 აპრილი - 2023 წლის 26 აპრილი;

დ) კონკურსის შედეგების გამოცხადება - 2023 წლის 27 აპრილი - 2023 წლის 28 აპრილი.".

2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების უზრუნველყოფის განყოფილებას დაევალოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

5. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი